კლასი 8, დავალების პირობა: „კატაპულტი“

საგანი - ფიზიკა

საკითხი/საკითხები -
- მექანიკური მუშაობა
- სიმძლავრე.
- მექანიკური ენერგია

ქვეცნებები: მარტივი მექანიზმი,მექანიკური მუშაობა, მექანიკური ენერგია.

გთხოვთ, მოზარდებს დაეხმაროთ ჩამოთვლილი რესურსების შეძენაში

დავალებისპირობა:


კატაპულტი



კატაპულტი არის იარაღი, რომლის მეშვეობითაც ისვრიან ტვირთს დიდ მანძილზე დენთის გარეშე, მას იყენებდნენ ჯერ კიდევ ანტიკურ ხანაში. წარმოიდგინეთ, რომ ხართ ანტიკური დროის მებრძოლი და თქვენი ამოცანაა აწყოთ ისეთი კატაპულტები რომელიც ბრძოლაში იქნება ეფექტური: ისვრის სხვადასხვა მანძილზე, ახსნათ მისი მოქმედების პრინციპი, გამოიკვლიოთ რა ფაქტორებზეა კატაპულტის მოქმედება დამოკიდებული, რა უნდა გაითვალისწინოთ ბრძოლის დროს. **დაამზადეთ კატაპულტის მოდელი** ან სქემატური ნახაზი და წარმოადგინეთ თქვენი არგუმენტირებული დასკვნები პრეზენტაციის სახით (power-point)

შესაძლო რესურსები:





- **სახელმძღვანელო**
- **რვეული**
- **კალამი**
- **ინტერნეტი და კომპიუტერი**
- **საკანცელარიო რეზინები ან რეზინის ზონარი**
- **ხის (პლასტმასის ან ლითონის) გამძლე ჩხირები (ადვილად რომ არ გადატყდეს, ისეთი)**
- **ზამბარიანი სარეცხის სარჭი**
- **პლასტმასის ბოთლის თავსახური**
- **პლასტელინი**



- მცირე მსუბუქი ბურთულა გასატყორცნი სხეულის როლში
- წებო
- შეიძლება ცალკეული ზამბარაც გამოგადგეთ
- სხვა რესურსები მოსწავლის მიერ მოფიქრებული მოდელის შესაბამისად